ბრძანება:**ბ126.126222173**
თარიღი:**05/08/2022**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 54-ე მუხლის, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების თანახმად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემისათვის, საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2022 წლის 28 ივლისის N 4 ოქმის საფუძველზე.

ვბრძანებ

გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ:

1. ქ.წალენჯიხა ჭურღულიას ქუჩაზე მდებარე 46 $მ^2$ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.11.43.579
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 1700ლარი
ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---200 ლარი.
გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 50 ლარი.

2. ქ.წალენჯიხა ჭურღულიას ქუჩაზე მდებარე 41 $მ^2$ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.11.43.589
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 1500 ლარი
ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---200 ლარი.
გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 50 ლარი.

3. ავტომანქანა TOYOTA LAND CRUISER LC150 ქ.წალენჯიხა სალიას ქუჩა ---------- 39 400 ლარი
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 39 400ლარი
ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---4000 ლარი.
გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 1000 ლარი.

4 . ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 15047 $მ^2$ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონების ს/კ N47.01.32.051) საპრივატიზებო ღირებულება 23 800 ლარი.
ა)საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს --- 1200 ლარი.
ბ) ,,ბე“-ს საფასური განისაზღვროს 150 ლარით
გ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 50 ლარით.
დ) იჯარის ვადა განისაზღვროს 10 წლით

5. ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 22238 $მ^2$ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონების ს/კ N47.01.32.050) საპრივატიზებო ღირებულება 35 100 ლარი.
ა)საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს --- 1800 ლარი.

ბ) ,,ბე“-ს საფასური განისაზღვროს 200 ლარით
ბ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 50 ლარით.
დ) იჯარის ვადა განისაზღვროს 10 წლით

6. ქ.წალენჯიხაში მდებარე 18401 $მ^2$ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონების ს/კ N47.11.48.204) საპრივატიზებო ღირებულება 35 900 ლარი.
ა)საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს --- 1800 ლარი.
ბ) ,,ბე“-ს საფასური განისაზღვროს 200 ლარით
ბ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 50 ლარით.
დ) იჯარის ვადა განისაზღვროს 10 წლით

7. ქ.წალენჯიხა სალიას ქ.N5-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 10,8 $მ^2$ არასაცხოვრებელი ფართი (უძრავი ქონების ს/კ N47.11.43.059) 1 კვ.მ ფართის ღირებულება 412 ლარი
ა)საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს --- 310 ლარი.
ბ) ,,ბე“-ს საფასური განისაზღვროს 50 ლარით
ბ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 50 ლარით.
დ) იჯარის ვადა განისაზღვროს 5 წლით

8. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს ვებგვერდზე www.eauction.ge.-ზე გამოცხადების მომენტიდან 15(თხუთმეტი)კალენდარული დღით, ხოლო არასამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მიმდინარე პირველივე სამუშაო დღეს.

9. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის თანახმად ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

10. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისულების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ე ნაკლებია.

11. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

12. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

13. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ,,ბე“ სრულად ირიცხება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

13.1 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

13.2 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულად არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

14. თანხა ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირებმა უნდა გადაიხადონ შემდეგ რეკვიზიტებზე: უძრავი ქონების პრივატიზება NN300393390; შენობა-ნაგებობის იჯარიდან N300393212.

15.ელექტრონული აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს სსიპ- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების საგენტომ.

16. ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებრო ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს ვებგვერდზე: www.eauction.ge.

17. ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაციის სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge განთავსება უზრუნველყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა.

18. ელექტრონული აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო და საიჯარო ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა და ელექტრონული აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

19. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

20. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

21. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.(მისქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა12).

გიორგი ხარჩილავა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.# 5. ტელ: 599647050
5200 K.SALIA ST. #5. TSALENJIKHA,GEORGIA TEL: 599647050
WWW. TSALENJIKHA.GOV.GE E-MAIL. TSALENJIKHAMERIA@TSALENJIKHA.GOV.GE